

F 26
1865 3

Г Р У З И Н С К И Й

ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ.

1865.

ОКТАБРЬ.

საქართველოს

სახელმწიფო მახარებელი.

გვერდები.

ხედე წ.

ТИФЛИСЪ.

ВЪ ТИПОГРАФІИ МЕЛИКОВА и К^о.

ПОДПИСКА

НА

„ГРУЗ. ДУХ. ВѢСТНИКЪ“

продолжается и принимается въ редакціи сего журнала, при Тифлисской духовной семинаріи, на имя редактора. Цѣна за годовое изданіе журнала, т. е. за 12 кн., съ доставкою на домъ и пересылкою во всѣ города. 5 р. сереб., безъ доставки и пересылки—4 р. с.; за одни прибавленія на русск. языкѣ, для особо подписывающихся, 1 р. с. По той-же цѣнѣ можно получать остающіеся экземпляры журнала за *первый* (18^{64/65}) годъ.

Независимо отъ журнала продаются: “Общепонятное изложеніе догматическаго ученія Православной вѣры,, и “Жизнь Пресв. Богородицы,,—на груз. яз.—по 40 к. с. экземпляръ, съ пересылкою и безъ нея.

სულისმცემისა ყურნალსედ მიიღება ტიფლისის სემინარიაში, რედაქტორის სახელსედ. თასი წლის ყურნალისა, ესე იგი 12 წიგნისა, შინ მიტანით და სხუა ქუჭყნებში გაგზავნით ხუთი მანეთი; მიუტანელად და გაუგზავნელად ოთხი მან. მარტო რუსულსათჳს ერთი მანეთი. ამავე თასათ შეიძლება გამცემისა დანაშთენის ეგზემპლიარების წარსრული წლის ყურნალისა.

ცალკე იხუიდება: “ადვილსასმენელად გამოსატყა მართლმადიდებელის საწმუნოების დოქმატიკურისა სწავლისა,, და “ცხოვრება ყოვლადწმიდისა ღმთისმშობლისა,,—ორ სხასათ თჳთო ეგზემპლიარი, გაგზავნით და გაუგზავნელად.

3
თქმული ახიათარ მღუდლისა, კუართისათჳს უფ
ლისა ჩუწნისა იესო ქრისტესა.



88
„მე ახიათარ მოგიტხრობ თქუწნ თხრობასა
მეუწყა და ყურითა ჩემითა ვისმინე, მამის დედისა ჩემისაგან, და
რომელი წიგნთაგანცა უწყი. ჩამეთუ მათცა ჰაჳათა და მძებელთა-
გან თჳსთა მოთხრობით და სძენით უწყოდეს: რდეს იგი მეფობდა
ჭეროდე იერუსალიმს, მას ყამსა გვესმა ესრეთ, ვითარმედ „იერუ-
სალიმი სჳარსთა დაიხურესო:“ რომლისათჳს იქმნა გლოჳამ და
წუსილი ურიათა ზედა ქართველთა, მცხეთელთა მკვიდრთა, ბოდუელ-
თა მღუდელთა, კოდისწყაროელთა მწიგნობართა, და ხობის კანა-
ნელთა თარგმანთა, რომლისათჳსცა ესე ყოველნი აღიძრეს წარ-
სუღად და შეწყენად იერუსალიმელთა: ხოლო შემდგომად მცირედ-
თა დღეთა სსუამ მოიწია ღაღადისი ნუგეშინისცემისამ, ვითარ-
მედ „სჳარსნი იგი არა დახურობად იერუსალიმისა მოვიდესო, არა-
მედ საჭურველთაწილ აქუნდა რქრო სამეუფო და მური მსწრაფლ
მკურნალი წელულებისა, და გუნდრუგი სურნელი, და კძიებდეს ყრ-
მასა ვისმე, შობილსა თესლისაგან დაგითისა, რომელი რეცა ჰო-
კეს მწიკი ერთი ყრმამ, მწიკისა დედაკაცისა, შობილი უყამოდ,
უადგილოსა ადგილსა, ვითარცა არს ჩვეულებამ გარეგან დაბისა
მდგომარეთა კაცთა, და ესენი მის ყრმისა მოვიდეს, და შესწირეს

მისსა ძღუწნი იგი მშვიდობით:“ და იქმნა სიხარული დიდი სმე-
ნითა ამის ჭამბავისათა ურიათა ზედა ქართუწლთა:

„ხოლო შემდგომად გარდახდესა წელი ოც და ათნი, მა-
შინ მოწერა ანა ძღუდედმან, იერუსალიმით, მამისა ჩემისა ელი-
ოზისათანა ესრეთ, ვითარმედ „იგივე რომლისათუხ სპარსნი მე-
ფენი ძღუნითა მოვიდეს, აღზრდილ არს და ჭასაკსა ზომისასა მო-
წევნულ არს იგი, და თავსა თუხსა მუდ ღუთისად სადის. აწ მოკე-
დით ყოველნი სიკუდილსა მისსა, რათა აღვასრულოთ მცნება მო-
სესი:“ და წარვიდა აქათ ელიოზ, მამის მამა ჩემი, ვატი მოხუცე-
ბული, და ესვა მას დედაჲ ტომისაგან ელი ძღუდედისა, და ესვა
მას დაჲ ერთი. და ეკედრებოდა ელიოზს დედაჲ მისი ესრეთ.
„წარვედ, შვილო, წოდებასა მას მეფისასა და წესსა სჯულისასა, გარ-
ნა რომელსა იგი განიზრახვენ, ნუ შეერთვინ ცნობაჲ შენი, შვილო
ჩემო, რამეთუ იგი არს სიტყუა წინასწარმეტყუელთა, და ივაკი
ბრძენთა და საიდუმლო დათვარული ზირველითგან, და წარმართთა
ნათელ, და ცხორება საუკუნო:“ და წარვიდა ელიოზ მცხეთელი
და ლონგინოზ კარსნელი, და მუნ დახუდეს ჯუარცმასა უფლისა
ქრისტესსა: ხოლო რაჲმს იგი დამსჭუაღვიდეს უფალსა ჯუარსსა ზე-
და და ჭასანიგამან კვერითა მით რკინისათა საცა სამჭუალოთა მათ-
ზედა უფლისათა იერუსალიმს, მაშინ ესმა სმა სამსჭუალოთა მათგან
გამოხრული დედასა ელიოზისასა, მეფესა მცხეთას შინა, და მეუჭ-
სეულად იკრხსიალსა, და თქუა. „მშვიდობით, მეფობაჲ ურიათაჲ
რამეთუ მოჭკალოთ თავისა თქუწნისა მაცხოვარი და მსხნელი, და
იქმნენით ამიერითგან მკლუელ და მესისსლე შემოქმედისა: ვაჲ
თავსა ჩემსა, რომელ არა მეუფლა უწინარესვე ამისსა სიკუდილი,
რათამცა არდაარსა სმენილ იყო ყურთა ჩემთა, და არცაღა შემდგო-
მად ამისსა ღირს-ვიქმნე მე სილულად ნათლისა წარმართთა ზედა,
და მშვიდობა იხრიალსა:“ და მუნ შეისვენა, რაჲ სრულაჲ სიტყუა ესე:

„სოლო გუარტი იგი უფლისა სუდა წილითა მცხეთელთა მათ ურითა, და მოლო იგი მცხეთად ელიოზ: და მიეგება დაჲ მისი: ცრემლთა მიერ შესვარული, და მოეხვია ყელსა ძმასა თჳსსა ელიოზს, და მოულო მას სამოსელი იგი იესოხი, შეიტკბო მკერდსა თჳსსა, და მუის მეუხესულად სულნი წარხდეს მასკე ყამსა, სამთა ამათ ტკივილთა სიმწარითა. ქრისტეს სიკუდილითა, და დედისა თჳსისა, და ზიარების-თჳს უარის-მოთუელთა ქრისტესთა ძმისა თჳსისა: მაშინ იყო საკვირველი დიდი და შეშოფოთება მცხეთას შინა. რამეთუ განკვირდა თჳთ დიდი მეფე ადერკი და ყოველი სიმრავლე ერისა და მთავართა და სთნდა მეფესა ადერკის სამოსელი იგი, გარნა საკურველებისა. მისგან ზარ-განხდილ და შეშინებულ იქმნ იგი, და ვერღა-რამ იკადრა გამოღებად სელთაგან მის მკუდრისათა, რომელსა იგი მაგრად და სურვილითა შემოემკერდა: და ესრეთ სელთავე მქონებელი სამოსლისა უფლისა დამარხა ძმამან მის მან ელიოზ დაჲ იგი თჳსი, ადგილსა მას, რომელი უწყის ღმერთ-მან, და არაჲსინ სხუა-მან, თვინიერ ამისა, რომელ ესე უწყიან, ვითარმედ არს ადგილი იგი მასლობელ ნაძვისა მის, ლიბანით წარმოღუბულისა, და მცხეთას დანერგულისა და აღორძინებულისა:

„და ესეცა მეუწყა ძამისა-გან ჩემისა, ვითარმედ არს სხუა-ცა, საღმრთოთა ძალითა შემოსილი, მჩხობლი იგი ხალენი ელიასი, ამას ქალაქსა შინა და სელთა ჩვენთა, საკურთხეველისა სიმტკიცებსა ქრისტე ქვითა, უზოვნელად ვიდრემე ყამადმდე მისსა: რამეთუ მრავალ-გზის მოიბირა წმიდაძმან ნინო ძამისა მიძართ ჩემისა, რათამ-ცა გამოვიწუელიე მისგან ადგილი იგი მხურვალედ სამოსლისა მის სოლო მან ესე ოდენ მრქუა, ვითარმედ „აქა არს ადგილი-იგი სამარხსავი მისიო, რომელსა ზედა ენანი კაცთანი არს დადუმენ გა-ლობად ღუთისა მიძართ, და არს ადგილი იგი ადგილი ვითარცა იაკობისი, კიბედ ხილული და ზეცად აღწეპნილი:“ და შემდგომად

წელთა ძრავალთასა ძისწულის შუღმან აღერკი მეფისამან ამწა-
ელ ძიება ჭყო სამოსლისძინთვს, ურიათა თანა, და ვერ უძლო
შოვნად და ცნობად მისსა, გაწნა მასცა ესრეთ მიუთხრა, წოდელ-
თაგან ესრეთ გამოიკითხვიდა, ვითარცა ესეა რა ზემოთ ითქუა „ნა-
ძვისამის მასლობელად ყოთა აღვილსა მას, წოდელსა დამარსულ იქ-
მნა:“ სოლო დამარსულ იყავნ ესეცა, ვითარმედ სახლი ელიოზისი,
წოდელმან კუართი უფლისა მოიღო, და დამარსა მითურთ დაჲ
თხნი, იყო ქალაქსა დასავალით, წიად მოგუთასა, ხიდსა ზედა. (*)

(ქართლის ცხოვრებისაგან.)

(*) დღესასწაული კუართისა უფლისა აღესრულების 1 ლგ-
დომბერს.

მოწამეობა წმიდანთა ორთა ძმათა არგვეთის შთა-
ვართა დავით და კონსტანტინესი. (*)

იმერთ—ამერთ მნათობნი ქართველთანი,
გაცქმნილისა ღმრთისა, იესოხ აღმსარენი,
იმსთვეს სუფევად დავით კონსტანტინე-
თურთ, წყალნი საფლავად, ღოდნი იმ-
ანიაკნეს. (**)

(ნიკოლ. თბილელი. სადღესასწ. გვერდი 159).

მასლობლად ქუთაისის ქალაქისა, კლდოვანს და უშენოსა აღ-
გილსა, ჭსდგას ეკკლესია, წოდებული მოწამეთად. სამის მხრით
გარეუკლის ამას მდინარე—წყალ-წითელსა, გარდა კლდეთა და ტყეთა
და ჩაოდენტამე სენაკთა, მასლობლად ამა ეკკლესიისა მდებარეთა,
თვალნი ვერასა ჭსედგენ. აღმენებასა ამა ტაძრისასა მიაწერენ გურ-
გენ მეფის შვილს ბაგრატ მესამეს, რომელი იყო მეფე აფხაზე-
თისა და საქართველომსა. ეკკლესია აღმენდა შპე-სა წელსა (985).

საკანე ესე შეიტაცეს თვს შორის უძვიროვასესა საუნჯესა, რომ-
ელი შეადგენს სიმტკიცესა და საფუძველსა იმერეთის ეკკლესიისა-
სა, სიქადულსა და სინარულსა შვილთათვს ამა ეკკლესიისა და სრუ-

(*) სხენება მათი აღესრულების ბ-სა ოკდომბერს.

(**) მანიაკი—ეულზე ჩამოსაგდები ძეწკვი მარგალიტისა ანუსხვა-
თა ძვიროვასთა ქუათავან ასხმული.

ლიად იუკრიისა. მარჯუნივ სამწიროკელში, ორთა ხისგან გამოჭრილთა ლომთა ზედან, ჰსდგას ლაწნაკი (კუბო), რომელშიაც ასკენიან ერთად ორნი წმიდანი გუამნი, ვიდრე დღეინდელად-დღემდე დაცულნი უხრწნელად ჭ დაუშლელად. ამით ორთავე აფარიათ ერთი წასახურავი, გარნა მის ქვეშ ცხადად მოჩანან ჰატიოხანნი თანნი ჭ ყოველი გუამი მათი, ჭ ოდეს ახდიან საბურავსა, მაშინ მრთლად ეკვლესია აღივსების კეთილსუნნელებითა. ვნატრი ქრისტისანესა, რომელი შემუსრვილის გულით ჭ მტკიცის სასოებით ეღიწესება მთხვევანსა ჭ ამასთანავე ენახასა ამა დაუჭნობელთა ვარდთა ზეტისა სასუთვეკელისათა, ჩვენ ცოდვილთა შორის დანერგულთა. ღვაწლით-შემოსილნი ქრისტეს მოწამენი სუნადსუნნელად შემწიროკელნი ვედრებისა, მხურვალის ჭ დამდაბლებულის სულიდგან აღმოსულისა, მდიდრად აღმოუცენებენ მას წყაროსა ვურნებისასა.

ვისნი არიან წმიდანი ჭ უხრწნელნი გუამნი ესე? ვინ არიან მოწამენი, რომელნი ასე მარტოდ განისვენებენ ამა უდაბნოსა შინა? ესენი არიან ორნი ძმანი, არგვეთისა მთავარნი დავით ჭ კოსტანტინე, ქალწულნი სოცრითა ჭ მხნედ მებძოლნი ხილულთა ჭ უხილავთა მტერთა. შუამდინარის (მესოპოტამიის) განმგებელი, დისწული მაჭმადისა მურვან-ყრუ, დაეცა საზღუართა საბერძნეთისათა, აღაოხრას სომხითი, სრულიად ქართლი ჭ დადგა ჯარით სამცხეს (ახალციხის მხარეს) მასლობლად ოძრისისა. (*) მთავარნი ჭ წარჩინებულნი მრთლად ქართლისა ჭ ეგრისისა (იმერეთისა) შევიდნენ კავკასიის მთაში ჭდაი-

(*) ოძრისი იყო ძველთაგან დაარსებული ჭ დიდათ გაშენებული ქალაქი ამავე სახელის საერისთოსი, ზემოქართლში; ამას ჩამოუდიოდა მდინარე ოძრისი, რომელიც ერთვის ახალციხის წყალს. მეთექვსმეტე საუკუნეში აღაოხრეს ოსმალთა; შემდეგ ყაშში დასახლდნენ მაჭმადიანნი ჭ ეკვლესია შესცვალეს მეხითად; აწარს მცირე სოფელი ამავე სახელითა.

მაღნენ კლდეთა ჭ ღრეთა შინა. ოძრისიდგან მუწვან-ურუმ გავ-
გზავნა წინაბრძოლნი ახალბრძედად იმერეთისა. მხოლოდ ორნი
ესე მთავარნი არგვეთისა, დავით ჭ კონსტანტინე, უშიძრად შეებნენ
სარკინოზთა, მახლობლად ქუთაისისა ჭ დამარცხეს ისინი. განრის-
ხებული მუწვან ქართველთაგან თავის წინაჯარის დამარცხებითა,
მრთელის მხედრობით წამოვიდა ზემო ქართლიდგან და დაეცა ქუთაისს.
აქედგან გაგზავნა ჯარი არგვეთს და უბრძანა შეპყრობა ამა ორთა
მხნეთა მხედართა, და ოდეს სელ-შეკრულნი წარურდგინეს მუწვანს
დავით და კონსტანტინე, „მაშინ,, იტყვის არსენი (*) კათალიკო-
ზი, აღმწერელი ცხოვრებისა მათისა, „ფრად განიცინა ურუმან და
„რქჳს მათ: ვინა ხაროთ თქჳსნ შეშის-მხახურნო, (**) რომელთა
„იკადრეთ ბრძოლად ჩემდა, ანუ არა იცითა, რომ დიდისა მოცი-
„ქულისა მახმადის დის-წული ვარ, რომლისა სჯულსა ჳმონებს
„ყოველი არაბეთი და სპარსეთი და დამომოჩილებია ყოველი ქვეყანა,,?
მიუგეს მას მთავართა: „სიცილი და სიქადული შენი ცუდ და
„ამო არს ჩვენსედა, რამეთუ წუთ-ყამ არს დიდება შენი და აღრე
„განქარდების, რამეთუ არა ღირსებისათვის იქმნა ძლევა შენი ჩვე-
„ნსედა, არამედ ცოდვათა ჩვენთათჳს; ჩჳსნ გარდავსდენით მცნე-
„ბასა ღრთისასა და ამისთვის იქმნა ფლობა თქჳსნი ჩვენსედა
„რათა გჳწჳრთვნეს ღმერთმან უჳსჯულოდათა სელითა თქჳსნიითა.“

ამ გვარძან ზახუსძან მუწვანი დიდათ განარისხს და უბრძანა
მხედართა განრთხმა მიწასედა დავით და კონსტანტინესი და დაუწევს
მათ სასტიკად გვემა ჯოხებითა, ხოლო წმიდანნი სურგძელებით
მოითმენდნენ და შემწედ ჳხადოდნენ ღმერთსა. მუწვანძან არ და-
აჯერა მთავართა, გვეძულებანი და განიზრახსა, რათა აგმობინოს მათ

(*) არსენი, კათალიკოზი აფხაზეთისა, ჳცხოვრებდა მკათე საუკუნეში.
(**) შეშის მხახურად მუწვან უწოდდა ჯჳრის თაყვანის-მცემელთა.

სარწმუნოება ქრისტესი და მიაღებინოს მახმადიანობა. ამისთვის შე-
მდგომ მუორედ გვეძიოს, რომლითაც ჰგონებდა მათსა შეშინებასა:
და შეწყევასა, მან მიფერებით დაუწყო საუბარი წმიდასა დავითს.
„მასმის შენთვის სხასვეტთა ჩემთაგან, ვითარმედ კაცი ხარ გონიე-
რი და წყობათა შინა გამოცდილი და თავი ამის ქვეყანისა; აწ
„ისმინე ჩემი და დაემოწმილე ჰსჯულსა მაჭმად დედისძმისა ჩემ-
„ისასა და გეო შენ მთავარ და დიდებულ ყოველსა სხასვეტისა და
„არაბესა შინა; გეო შენ სხასალარ და წინამძღუარ ყოველსა-
„ზედა ლაშქარსა ჩემსა, ხოლო ყრმასა მაგას ძმასა შენსა, მივსტე
„ვატივი რათა სამარადისოდ ჰსდგეს წინაშე ჩემსა პალატსა შინა
„ჩემსა, და იშვებდეს სხუათა დიდებულთა პალატისა ჩემისათა“.

ახოვანმან მხედარმან იესო ქრისტეს მან დავით გამოისხასა სა-
სე ჯვარისა პირსა თვისსა და ესრეთ ვასრეს-გეო მურვანს: „ნუ
„იყოფინ ესე ჩვენ ზედა, ჭი ძმლავრო ბოროტო, რათამცა და
„უტეოთ ნათელი და შეუდგეთ ბნელსა. ღმერთმან ჩვენმან მოგვი-
„წოდნა ჩვენ რაყამს ძე თვისი სიტყუა და თანასწორი მისი მო-
„ავლინა ქრესტყანად და კაცაქმნა ჩვენთვის და ყოველი განგებულება
„თავსადგა: ჯვარცმა, დათლვა და აღდგომა, კვალად ამაღლდა მა-
„მისა და იგივე მოხვლად არს განსჯად ცხოველთა და მკუდართა.
„ვერ შემარყეველი დავითისა, მურვან მიაქცევს სიტყვასა თვისსა წმი-
„დასა კონსტანტინეს და ეტყვის:“ შენ ყრმაო რასა იტყვი თავისა
„შენისათვის, მოჩილე ხარა ბრძანებასა ჩემსა ანუ არა? ნუ იყოფინ
„ჩემდამო მოჩილება ბრძანებისა შენისა,, მიუგო წმიდამან, „ვი-
„თარცა ჰსწამა და აღიარა უფალმან ჩემმან, მეცა ჰვსწამებ და აღ-
„ვიარებ, რამეთუ ერთსა ჰსჯულსა და ერთსა სარწმუნოებასა ზედა
„განსწავლულვართ და მრწამს მამა, და ძე, და სული წმიდა, და
„მისთვის მოკვჭუდები,,. ესრეთმან მტკიცედ და უშიშრად სარწმუნოე-
ბის აღსარებამან განამოფოთა და განარისხა მურვან. მან უბრძანა

მტარვალთა (*), წარყვანონ წმიდანი დავით და კონსტანტინე და შესვან საპყრობილეში, არა მისცენ მათ არცა ჰური, არცა წყალი და ყოველ-დღე სტანჯვიდენ მათ სხუა და სხუა გუარითა სასტიკითა სატანჯველითა, რათა ჭირითა მით და გვეძულეობითა უნებლიეთ აღიარონ ჭსჯული მატყმადისა; გარნა წმიდანი ლოცვითა და კედრებითა ღუთისა მიძარბთ მართმენდნენ თუწად თუწადთა ჭირთა, სიუმილსა და წყურვილსა. ათისდღის შემდეგ მურვან ყრუმ მიუგზავნა წმიდათა მსნეთა მოწამეთა იმამნი (**), და უბრძანა, რათა მათ მოინძარონ ყოველი ღონისძიება და აგომბინონ დავით და კონსტანტინეს სახელი ქრისტეს მაცხროვისა. მათ წინ დაუწყეს წმიდათა მოწამეთა, სიუმილსა და გვეძულეობათაგან განლეულთა და დამჭენარითა, სამთავრონი დროშანი ჭ შესამოხელნი და ძვირღუასნი საჩუქარნი, წარმოგზავნილნი ყრუსაგან და ეტყოდიან: “ნუ წარწყმედთ უყამოდ სიჭაბუკესა თქუწნსა მწარითა სიკუდილითა; აღირჩიეთ უძჯობესი ჭ შეიწყალენით თავნი თქუწნნი, მოიქცით ჭსჯულსა მტყმად რჩეულის მოციქულისასა, რათა იშვებდეთ ჩვენთანა, ჭაბუგნო მშვენიერნო და ასოვანნო! მეცა მეწყალვის სიჭაბუკე და სიმხნე თქუწნი, დაემოჩილენით ბრძანებასა მადლისა მის მურვანისასა, რომელი გიძღუნით თქვენ ამა ძვირღუასთა ნიჭთა. “უგუნურნო მოციქულნო ყრუსა და მწავარისანო,, მიუგეს მას მსნეთა ქრისტეს მოწამეთა; “როგორც ჰირველ ვადვიარეთ საწმუნოება ჩვენი ჭემძარბიტი და ჭეწამეთ მას ზედა მტკიცედ, ეგრეთვე აწ ვართ უმტკველად; არცა ჭირმან არცა დიდებამან ამის საწუთოლსამან ვერ განმამოჩნეს ჩვენ სიყვარულსა და საწმუნოებასა იესო ქრისტესსა; მზა ვართ სახელისა მისისათვის მივეცეთ შიშმილსა და წყურვილსა, ტეტხლსა, მახვილ-

(*) მესრძლე, გინა ნასახჩი, ანუ ჯალათი, რუსები ჰალახს ეძახიან.

(**) იმამი — უპირატესი, ანუ თავი მატყმადიანთ სამღუდელოთა.

სა და წყალსა, და ამის უოკლისაგან სიკუდილსა სასუფიქველისა თვს
ცათასა; ხოლო თქუძნ მიერ მიღებულნი ძვირთასნი ნიჭნი და დი-
დებანი, რომელთა აღგვითქუამთ ჩუძნ, სამუღველ და სამაგელ არიან
წინაშე თვალთა ჩვენთა; სასოება ჩვენი და დიდება ქრისტე არს და
სიკუდილი სახელისა მისისაღოთს საწადელ; წარვედით და უთხაროთ
ესე უოველი მომავლინებულსა თქვენსა მაცთურსა და მზაკვარსა“.

ჭსცნა რა მურვანძან იმამთაგან, რომელ არგვეთის მთავარნი მტკი-
ცედ სდგანან საწმუნოებასედ და არ ემინისთ მათ არცა ტანჯვა-
თაგან და არცა სიკუდილისა, მოუწოდა მტარვალთა და უბრძანა
სრულსყუარს წმიდათა ზედა შემდეგი ესე ფიცხელი და შესაზარებე-
ლი განხილება: განაშიშულონ წმიდანი დავით და კონსტანტინე, თავ-
მოქცევით დაჭვიდონ და დიდსანს ჭკვედონ მსხვილის ჯოხებითა;
შემდგომ შეუკრან სელნი და თერსნი, ქედთა ზედა მათთა დააკრან
მძიმენი ღოდნი, და შთაწყარონ რიონის მდინარეში. ჭსთქვა რა ესე,
თვთ წარვიდა ქუთაისიდგან სამეგრელოს, სრულებით აღარსა ჯ
აქედგან შევიდა აფხაზეთში და შემდგომ შემოადგა ანკოთის ციხე-
სა, (*) სადაც იყო გამაგრებული მთავარი ქართლისა ძირი თავი-
ნის ძმით არჩილით (**). სისარულით მიიღეს ქრისტეს მსედართა
მძათრი და უღმობელი ბძანება ესე მძვინვარის მურვანისა. როგორც
რომ მტარვალთა დაუბირეს დავით და კონსტანტინეს სასტიკად ნაგ-
ვედთა, სელსებს შეკრულთა და ქედთა ზედან ღოდ მოვიდებულთა,

(*) ქალაქი ანკოთი იყო ძველთაგან აღშენებული ბერძენთაგან შავი-
ზღვის პირსედ აფხაზეთში. აქ დღესაც სდგას ძველი ეკლესია,
სადაც უჩვენებენ სათვლავს მოციქულის სიმონ განანიტისასა.

(**) არსენი კითალიკოსი, წმიდათა მოწამეთა დავით და კონ-
სტანტინეს ცხოვრების აღწერაში, მირსა და არჩილს ვახტანგ გორგ-
ასლანის შვილებად ახსენებს. ამავე ვახტანგის შვილებადვე იხსენებია

წილში შთავდებს, მაშინ მათ ითხოვს მცირედი ყაძი, რათა შეკედრონ სული თვისი ღმერთსა. „წმიდათა აღიხილეს განუბითნი „თვალნი მათნი ზეტად მიძარით,, იტყვის არსენი კათალიკოსი, „რამეთუ ვერ ეძღოთ ცად ახილვად, არცლა მოდრეკად მუსლთა სიმძიმეთაგან ღოდთა, და გულისთა მსურვალთა ზხმაჲსეკს ღმერთისა „მიძარით: ჳი უთვალთ ღმერთთ იესო ქრისტე, ძეო და სიტყვაო მამისაო! ვითარცა იხმინენ თხოვანი ჩუჲსნი და ღირს გუჲეკენ წამებასა „სახელისა შენისათვის, შეისმინე აწცა თხოვანი და კედრებანი მონათა შენთანი, და ვითარცა დავიძარხენით სოცნი ჩვენნი უხრწნელად და შეუგინებულად სახელისა შენისათვის წმიდისა, ეგრეთვე შემდგომად წამებისა ჩუჲსნისა დაჲმარხენ გუჲამნი ჩვენნი განუხრწნელად და დაურღვეველად, და რომელთა ზხადონ სახელითა შენითა „წმიდითა სახელსა ჩუჲსნსა, მსწრაფლ ეწიენ წყალობა შენი და მიეცენ შენდობა ბრალთა, და ჳეკენ ახონი ჩვენნი მკურნალ სენთა და უძლურებათა, სადიდებულად ყოვლად საგალობელისა შენის სახელისა. „ამის შემდგომად დაიბეჭდნეს გულნი მათნი ბეჭდითა ცხოველს „მყოფელისა ჳუჲარისათა და სთქვენ: უთვალთ ღმერთთ იესო ქრისტე, სულთა შენთა შეკედრებით სულთა ჩვენთა,,. წარმოხთქვენ რა „წმიდათა ღვაწლითა შემოხილთა მოწამეთა მსურვალე კედრება ესე, მტარვალთა მსწრაფლ შთაჲყარხეს იგინი რიონის მდინარეში. განხდა სმა გრგვინვისა და ჳექისა; შემინებულნი და ზარდაცემულნი მტანჳკველნი იულტვიან ადგილიდგან, სადაცა სრულ ჳეკეს მათ უღმერთო სასჳელი უღუმერთოჲსა მსაჳულისა. მხქეფრი წყალის რიონი

იგინი ყაძნშია. მირ და არხილ იყვნენ შვილნი სტეფანოს მთავრისანი, რომელი გარდაიცვალა 720 წელსა. მხოლოდ მირ და არხილ ეკუთვნოდნენ გუჲარტომობით ვახტანგის შთამამავლობას, ე. ი. ხონრობით დინასტიასა. ვახტანგ გორგასალი ცხოვრებდა მესოეთ საუგუნეში.

ნისა არა ჭსძირავს წმიდათა გუჲამთა, რომელთაც ქედთაზედანი აკრავთ
მძიმენი ლოდნი; არ ამოწებს ერთმანეთსა ორთა ძმათა, რომელ-
თაც ერთად დასთხიეს სისხლი ქვეყანაზედ აღსარებისათჳს ქრისტე-
სისა; დადგება მწუხრი და ნაცუჲლად შავის წყუდიადისა წმიდათა
მოღვაწეთა ზედა დაედგინთ სვეტი ნათლისა; უცხო და საკვირვე-
ლი ბრწყინვალება ესე მოიუვანს წყლის ჰიწსა ოთხთა ტყეთა შინა
დამალულთა მსედართა, ბანაკისაგანაკვე ამა წამებულთა არგვეთის
მთავართა. მათ მოესმით უცნაური ხმა ამა ნათლისა სვეტიდგან,
რომელიც უბრძანებს მათ: გამოსვენეთ წელიდგან გუჲამნი მოწამე-
თანი და წარღეთ დასაფლველად, იარეთ აღმოსავლეთისაკენ და
სადაც გაგიტენდესთ მუნ დაკრძალეთ იგინი. დილა გაუთენდათ ამ
ოთხ კაცთა აღსრებულ ქალაქში, სადაც მურვან-ურუს არ გაემო ქვა
ქვასა ზედანი და აწ საცა ჭსდგან ეკკლესიას მოწამეთა. აქ ჭზოვეს მათ
ძველთაგან ნაკეთები აკლდამა და მუნ დაასვენეს ბრწყინვალე და
საღმთო ტვირთი თჳსი. განულო თითქმის სამასმა წელიწადმა და
მარადის უხვად აღმოცენებოდენ მოწამუნეთა ამა აღვილისაგან სუ-
ლთა და ხორცთა გურნებანი. ბაგრატ მეფემან, აღძრულმან სულისა
მიერ წმიდისა, აღაშენა ეკკლესიას აკლდამაზედ, მუნ დაასვენა მრავ-
ალ-გვერდნი გუჲამნი წმიდათა მოწამეთა დავით და კონსტანტინესი
და ცხადათ სახილველ-ჭყო იგინი ჩვენ ცოდვილთა და სულმოკლე-
თათჳს, რათა მიზამკ მათდა გიუჲნეთ, ოდეს განგვცდიდნენ ჩვენ მტე-
რნი ხილულნი და უხილვანი, და კიდრე სისხლის დათსეკადმდე
მტკიცედ ვხდგეთ საწმუნოებასა ჩვენსა ზედა. (1)

(1) არსენი კათალიკოსი მიაწერს წამებას წმიდათა დავით და კონ-
სტანტინესას ხსმთასა წელსა (6249) დასაბამიდგან სოფლისა, სოლო
ქრისტეს ჯუჲარცმიდგან ღლასა წელსა (730), მეფობასა ბერძენთა
ზედა ლეონ ისაკოზსა სატთა-მბრძოლისასა. ამ უკანასკნელს რი-

ღვაწლით მოხილნო მსედაწნო, მხნო აზგუთის მთავარნო,
მწიბლნო ვარდნო უჭნობელნო, ზამბახნო უდაბნოსანო!

ვინც შეგმოსათ უხრწნელებით, ვინც ჭურად გეოთ სუნნელების,
მის წინაშე მიიხენით, რომ ღიწს ვიქნე თქვენის მთხვევის,

ი. სულხანოვი.

ცხუში შეტომის აწის: 730 წელიწადს ჩვენ რომ ოცდაცამეტი წე-
ლიწადიც დაუმატოთ, ესე იგი ყამი იესო ქრისტეს ქვეყანაზედ ცნოვრე-
ბისა, მივიღებთ 763 წელიწადს, რომესაც, სიტყვისა მეზრ არსე-
ნისა, უნდა მომხდარყო წამება წმიდათა; გარსა ამ დროს აღარც
ლეონ ისავრო იყო ცოცხალი აღარც მურვან-ურუ. ლეონ გარდაიც-
ვალა 742 წელსა ქრისტეს შობიდან და მის წილ გამეფდა შვილი
მისი კონსტანტინე კაპრონიძისი, (იხილე სარგაძო ისტორიის
ლორენცისა, რუსულ ენაზედ ნაწ. მეორე, გვერდი 331, მეორე
გამოც.); ხოლო მურვან მოკლეს ახასიდელოთა ეგვიპტეში 750 წე-
ლსა (იხილე მუნვე გვერდი 327). მაგრამ რიცხვი წამებისა, ჩვენე-
ბული არსენის მიერ, დასაბამიდან სოფლისა — 6249 წელსა, რომე-
ლიც შეესწორების 741 წელსა და არა 763 წელსა ქრისტეს შო-
ბიდან, სწორედ გვიჩვენებს, რომელ წმიდათა დავითს და კონსტ-
ანტინეს მიუღიათ გვირგვინი მოწამეობისა 741 (ღმა) წელსა ქრის-
ტეს შობიდან და არა 730 (ღლ) წელსა ქრისტეს ჯუარცმიდან.

ი. ს.

ცხოვრებისაგან იოანე მოწუალისა, ალექსანდრიის
პატრიარხისა.

თავი კბ.

მღუდელ-ძათავარი ქრისტესი იოანე, საუბრობდა-რა მოწუალე-
ბასა ზედა, შემოიღო ერთი შესწავებისა ღირსი შემთხვეულებად,
და იტყოდა: „ცხოვრებდი-რა ჯერეთ კიბრეს ჭაღაკსა შინა მესუს
მე მსახური წარხინებული ერთგულებითა და უმანკოებითა, რომელ-
ნიცა დაიცუნა მან ვიდრე სიკუდილადმდე. მან მოძიოთ-რა მე ლექსი-
თი-ლექსად შემდგომი ესე თხრობად.“

ოდეს ვიყავ მე აფრიკას ღმსახურებდი ერთსა დებულების
შემკრებელსა (მეზაყესა), სახელით ჰეტრეს, კაცსა დიდად მდიდარსა,
გარსა ძუნწსა ღ უწყალოსა: ერთ-გზის უამთრით გლახაკნი, ტოვე-
ბოდნენ-რა მზესა შინა, საუბრობდენ ურთიერთისა შორის, ლოცვი-
დენ თვისთა ქუჭლის-მოქმედთა, და აგინებდენ გეტლის-მოუჭარე-
თა, რომელნი არა ჭსცემდენ მათ მოწუალებასა ქრისტეს სახელისა-
თჳს. მსწრათელ მოიწია სკედრი ვიდრე ჩემს მეზატონედმდეცა; და
ადმოჭსხნდა, რომელ არავის ამათ გლახაკთაგანსა არა ოდესმე მიუ-
ღოთ მისგან მოწუალებად: მაშინ ერთმან ჭრქუა სხუათა მათ: „რა
მომცეთ მე, უკეთუ მე დღესვე მოვიღო რადმე მისგან?“ შეჭვირდენ
აგინი ნადლეკსა ზედა, და დადგა გლახაკი ესე კართა თანა ჩუწნთა,

და ელლად სახლად მოხლუასა მებატონისა ჩემისასა. თვით მანვე უამსა მოდგა ურემი კართა თანა ზურებიტურთ სადილისათჳს ჩუჭნისა. ზეტრე განჩისსებულმან დაუცხრომელითა თხოვითა გლასაკისათა და ვერ მზონელმან ქვისამან, აღიტაცა ზური ერთი და ჭსტუორცა იგი თავსა მისსა. გლასაკმან აღილო ზური იგი და მიწბიოდა ამხანაგთა თჳსთა მიმართ ჩუჭნებად მისა.

განგლო რა მრმან დღემან, მძიმედ უძღურაქმნა მებატონე იგი ჩემი, და ისილა ძილსა შინა, რომელ ყოველნი საქმენი მისნი აღიწონებოდეს სასწორსა ზედა: ერთკერძო სასწურისა მდგომარე იუჩნეს შავნი, საზარლად უშვერნი ეთიოპნი, და მეორით ანგელონი სპეტაკითა სამონღებითა მოხილნი. საზარელნი იგი დააწყობდენ მრავალთა ბორცოთა საქმეთა მისთა ერთსა ფიტარსა ზედა სასწურისასა, და წმიდანი ანგელონი მწუნარებდენ, ვინადგან ვერ ჭზობდენ ვერცა ერთსა კეთილსა საქმესა მისსა, რომლისამცა უძლეს მათ დადებად ზირისპირ მდებარისა სასწურის ფიტარისა. მერმე ჭსტაქუა ერთმან მათგანმან: „ვიცა მე ერთი კეთილი საქმეა კაცისა ამის; წინათ სამისადლისა მისცა მან ზური იესო ქრისტესა, თუძცალა უნებურად“: მანვე უამსა მოიღეს მათ ზური იგი, დასდევს სასწორსა მას ზედა, და მან აღზიდა ფიტარი იგი ცოდუათა მიერ დატვირთული. მაშინ რქუჭს ანგელონთა ზეტრეს: „წარკედ უბადრუკო კაცო, და დამატენ ზურსა ამას კვალად რაოდენნიმე ზურნი, რამეთუ სსუჭზორ ვერ განერე შენ ხელთა ეშმაკთასა“. განიღვიძა რა მან ჭგრონობდა, რომელ იყო ესე ჭეშმარიტი ჩუჭნებად, ამად რომელ, ისილნა მან სასწორსა ზედა ყოველნი ცოდუანი მრთელისა ცსოვრებისა თვისისანი, რომელთაცა უძეტესნი საწილნი აღრითგანვე დაცაევიწუნეს მას. ზეტრემ იწყო მწარედ ტირილი, და ჭსტაქუა: „ვაიმე, უკეთუ ზური ერთი გლასაკისადმი წყინებით ტუორცებული ესეოდენ სარგებელაქმნა ჩემდა სამართალსა ზედა; ვი-

თარსამელა გამოუთქმელსა სარგებლობასა მიიღებს იგი, ვინცა წრ-
ფელითა გულითა განუყოფს ქონებასა თვისსა გლახაკთა? მიერ
დღითგან იქმნა იგი სრულებით სხუა კაცად, და ეგრეთ შეიუყარა
მოწყალება, რომელ არა ზოგუვდა იგი სხუელსაცა თვისსა.

ერთ-გზის, ადრე დილით, მენაკე ერთი, გადაჩენილი ნავის
შემუსრვილებინაგან, შეუვრდა თერსთა მისთა შიშველი და ეკედრე-
ბოდა შეწევინათვის. ზეტრემ მასკე ყამსა განინადა თვისგან სამო-
ხი თნის თიუთიკისა, რომელი ეძღსა მას ქუჭუე ზენასა სამონღისა,
და რომელი არა აქუნდა სხუა უკეთეს მისა, ჭ მისცა გლახაკსა მას,
მით რათამცა ეძღსა მას იგი: არამედ გლახაკი იგი ჭზრებდა
მას თავისა თვისინათვის ნამეტნავ მოხართავად, და მიჭყიდა იგი
მკერვალსა. ზეტრე მოიქცეოდა არა სახლსა თვისსა, იხილა სამონი
თვისი დამოკიდებული ქულებასა შინა (ბაზარსა), და ეგრეთ შეწუნ-
ნა ამით, რომელ მისრულმან სახლსა არა რადმე ჭსკამა, არამედ
იურვოდა და ტირიდა, მეტყუწლი თავსა შორის თვისსა: „გავს
არა ღირს ვარ მე, რათამცა გლახაკი იგი მისხენებდა მე“. ამას
მწუნარებასა შინა მიუძინა მას, ჭ იხილა ძილსა შინა კაცი, ბრწუინ-
ჭალე მსგავსად მზისა, მტვირთუწლი თავსა ზედა თვისსა ჭჭარისა
და შემონილი თვით სამონითა მით, რომელიცა მისცა ზეტრემ მე-
ნაკესა მას; ჭ გამოჩინებული იგი ჭკითხვიდა მას: „რასათვის
ჭსტირ შენ ზეტრე? მიუგო მას ზეტრე, იგრძნო არა ვითარმედ იტყვის
იგი უფლისათანა: „ვსტირ მე მისთვის, უფალა, რომელ გლახაკ-
ნი, რომელთაცა განუყოფ მე შენგან მოღებულთა, ირცხუწნენ ნა-
ჩუჭართა ჩემთა“. მამინ გამოჩინებულმან რქუა მას: „ინობა შენ
სამონსა ამას? აჭა მე მძობიეს იგი, მიერ ყამითგან, ოდესცა მომეც
მე შენ იგი, და ვაკურთხევ წყალობასა შენსა: რამეთუ შიშველ ვიყავ ჭ
შენ შემძობე მე (მატთ: 25. 26)“. განიღვიდა არა ზეტრემ, განკვირ-
ვებით და სინარულით დაღაღ-ჭყო: ცხრველ არს უფალი! უკეთუ

იხილ ქრისტე ჰგოეს სახეს შინა გლახაკთასა, მაშა არა მოგეჭდე მეცა, რდესცა შევიქმნე მეცა ერთი მათგანი!“

შემდგომად მისა მსწრაფელ განუყო მან ყოველი ქონება თვისი გლახაკთა, განათავისუფლნა ყოველნი მონანი თვისნი, თვინიერ ერთისა სახლის განმგისა თვისისა; მოუწოდა მან თვისთასა და რქჳს მას: „მნებავს მე რათა გარწმუნო შენ საიდუმლო ერთი, არამედ უკეთუ არა დაიმარსავ მას შენ, ანუ თუ არა აღასრულებ ნებასა ჩემსა, მიგუიდი შენ წარმართთა“. რქჳს არა მან ესე, მისცა მას ათი ლიტრა რქროდ და ეტყოდა ესრეთ: „იუიდე სათვისითა ამით სავაჭრონი, მეტეთ წარმიუჭანე მე ვითარცა მონა იერუსალიმს, ჳ მიმიდი მე ქრისტიანესა ვისმე, ჳ მიღებულა იგი სათვისე განუყავ გლახაკთა“. ხოლო მსახურსა მას არა ენება თავსა ზედა თვისსა აღებად ეგე ვითარისა ბრძანებისა: არამედ მებატონე მისი და უმტკიცებდა მას და ეტყოდა: „დაგარწმუნებ შენ, რომელ უკეთუ არა განმიდი მე, მიგუიდი შენ წარმართთა“. მაშინ მსახურმან გაბედა დამორჩილება მისი. მივიდენ არა იერუსალიმს, მიჰყიდა მან ბატონი თვისი ერთსა მცნობსა თვისსა, სახელით ზოილეს რქრომჭედელსა 30 კეცხლის ფულად, და მიძლებული თასისა მის წარვიდა სამეუფო ქალაქად, რათამცა დაიციჳ საიდუმლო იგი და განუყოს სათვისე იგი გლახაკთა.

ხოლო პეტრემ იწყო შრომად სახლსა შინა ახლისა მებატონისა თვისისასა ერთგულებით და სიძდაბლით: იგი მზუნარეულობდა, რეცხდა საცმელთა ჳ საცჳსლთა, ხოლო თავისუფალთა უამთა გარდაკლიდა მარხჳსა და ლოცჳსა შინა. ხედვიდა არა ზოილე კურთხევასა ღჳთისასა სახლსა ზედა თვისსა, და განკვირდებოდა არა სათნოებისა ცსოვრებსა პეტრესსა, წინადაუდებდა მას თავისუფლებასა, და ენება პერობა მისი თვისთასა, ვითარცა ძმისა; არამედ სათნოებისანი იგი მონად იკმნიდა წყალობისა ამისგან.

იგი იტვირთებდა მოთმინებით ყოველ-გზარსა. შეწუხებასა, და გვემსახურა სსუათა მსახურთაგან, რომელნიცა რაცხდენ მას უგუნურად, და არა ოდესმე უწოდდენ მას სსუითა სსუელითა. მრავალ-გზის რაყამს მიერულებოდა მას მწუხარებითა გულისათა, საკვირველი იგი მამაკაცი, რომელი ეჩუწნა მას აფრიკას შინა, კვალად მოვიდოდა მისდა მილსა შინა მითვე სამონღითა და უჩუწნებდა მას ოცდა ათსა მას ვეცხლის ფუფსა, და ეტყოდა მას: “ჰეტრე, ძმაო ჩემო! მე მივიღე ფასი იგი, რომელსა ზედა განისყიდე შენ; და ესრეთ ნუ მწუხარე ხარ, არამედ ელოდე მოთმინებით, ვიდრემდის არა განცხადნეს სათნოებაჲ შენი.”

უძალ შემდგომად ამისა მოვიდენ რაოდენნიმე ვეცხლის ვაჭარნი აფრიკით იერუსალიმს თაყუანისცემისათვის წმიდათა ადგილთასა, და ეწვივნეს ზოილეს. ჰეტრე, მსახურებდა რა მათ ტაბლასა ზედა, იცნნა იგინი, და მათცა სსუე ჰეტრესი ეჩუწნებოდათ ცნობილად. დასახრულ ჭხთქუა ერთმან მათგანმან; რჳ ვითარ ჭკავს იგი ჰეტრეს ადრინდელსა დებულების შემკრებელსა, რომელიცა დაიკარგა უამბოდ: “მიუგო მეორემან: “ჴე, ესე თვით იგია; ვითარ განისარებს იმჰერატორი ჭხცნობსარა ზოუნასა მისსა; წარვალ და წარვიუჭან მე მას ჩემთანა”. ჰეტრემ ისმინარა სიტყუა ესე გვერდის ოთახისაგან, მიიხვე დახდგა სინი (რომელი აქუნდა სელსა მისსა) და ჩაიბინა ქუწკიბესა, რათამცა განვიდა შუკად. გარეგანი ეზოლსა მის კარი იყო დაკლიტულ, და განსაღები აქუნდა მეკარესა შობილგანვე ურუ და უტყესა. ისწრაფდაარა იგი განსუელად, რქუა მას მონამან ღუთისმან: “გიბრძანებ შენ სსუელითა იესო ქრისტესითა”. .. მასვე წამსა ისმინა ურუ და უტყუემან და მიუგო;,, ჴე ბატონო!” — რქუა მას ჰეტრე, ,,განმიღე კარი”. მიუგო კუალად ურუ და უტყუემან, “ჴე ბატონო” და მასვე ყამსა განალო კარი. ჰეტრე განვარდა შუკად, სოლო ურუ და უტყუემან გარდამცემულითა სისარულითა, განაგრძო

ევირილით, ბატონებო!, ბატონებო! მსწრაფელ განსტვივდენ ყოველნი სასლუელნი ევირილსა მისსა ზედა, და მან რქჳს მათ: „მზჳარეული განვარდა შუკად, ჳხდეკდით უკანა მისსა, რამეთუ დიდი მონად არს იგი ღჳთისა! ოდესცა მრქჳს მან; გიბრძანებ შენ სასელთა უიელისათა! ვიხილე მე ვითარცა აღი გამობდა პირით მისით და შეეხრა ყურთა ჩემთა, და მის წამიდგან მესმის და კმეტყველებ მე“. შეძრწუნდეს ყოველნი და ადიდეს სასიერება ღჳთისა: ხოლო მსახურთა, რომელნი უძეცრებით შეურაცხჳყოფდეს პეტრეს, და განსაკუთრებით მათ, რომელნი უგუნურად უწოდდეს მას, შეინანეს ცოდჳნი თვისნი. ყოველნი მოხწრაფებანი პეტრეს პოვნისანი დაშთენ უქმად: იგი განშორდა უცნაურსა ადგილსა შინა, და მუნ ეგო ვიდრე სანატრელ სიკუდილადმდე. მხოლოდ მან ღმერთმან უწყის, თუ სადა განიხჳწნებს გჳამი მისი, არამედ წმიდა ეკკლესიას ჳნატრის სხენებასა მისსა. (*)

რუსულისაგან გადმოღებული ა. ტ.

(*) სხენება მისი არს სეკტემბრის 22 დღესა.

მოკლე მოძღვრება

თქმული ვას აგვისტოსა 1865 წელსა, სიონის სა-
კათედრო სობოროს დეკანოზის იოანე გაბრიელის
ძის ბასსარგოვისაგან წინათ მოყვანებისა განსა-
წმედელისა ფიცისადმი თფილისის ქაშუჭთის ეკკლე-
სიასა შინა, თავადის დ. მ.

საეკარელო შვილო ქრისტეს ეკკლესიისა!

ქვეყნიურსა სამართალსა განათავებულად თქვენზედა შესახებ-
ლისა საქმისა განუწესებია ფიცი, — ფიცი დიდი ზე საშინელი, წო-
დებული განსაწმედელად, ესე იგი სრულიად მომსზობელი დაწ-
ყებულისა თქუწნ ზედა ურთიერთისა საქმისა, წამსათუხცა ხარ,
საეკარელო, წარმოდგარნი წინაშე ზირ-უთნებელისა მსაჯულისა, წი-
ნაშე რომლისაცა ყოველნი დაფარულნი კაცთანი არიან შიშველ-
ამის-გამო მჩხობლითა გრძნობითა გულისა შენისათა გამოსცადე
წინათ სვინიდისი შენი, ზე მოისხენე, რომელ წარმოდგარსარ წი-
ნაშე მისსა, რომელიც განიკითხავს გულთა ზე თიჩქმელთა. კაცნი
ყოველნი ვართ მომაკვდავნი; ქვეყანასა ზედა ცხოვრება ჩვენი არს
მოკლეს უამისა, და შემდგომ სიკუდილისა თანამდებ-კართ, რათა
წარვხდგეთ წინაშე ღმრთისა; ამის-თუხ არა უმჯობესაა, რათა მო-

ვიქცეთ მცნებისაებრ ღუთისა, რომელიცა ბრძანებს: არა მოიღო
სახელი ღუთისა ამაოდ, ესე იგი არა ჭფუცო სახელი ჩემი სიტყუ-
ით? — უკეთუ აღვასრულებთ ესრეთსა მცნებასა ძეუფისასა, მივიწვიოთ
ისრეთსა მდგომარეობასა, სადაცა არა არს ჭირი, არცა ურვა, არ-
ცა სულთქმა, არამედ სინარული დაუსრულებელი, ჳ შევალთ გან-
სასვენებელსა აღუშოფოთებელსა ჳ აღუძრველსა. მოციქული ჰაკლე
გვასწავებს ესრეთ, რამეთუ ცრუნი აღიწკებიან ღუთისაგან, ვითარ-
ცა ცეცხლი, და შთავარდებიან უბედურებასა და სამართალსა ქვეშე
რისხვისა ღუთისასა. მე ესრეთსა მოძღურობასა გამცნებ მოვალეობისა-
ებრ ჩემის, ვითარცა ძწეემსი ქრისტეს ცხოვართა, რადგანაც უძჯო-
ბეს არს დამორჩილება სიძარტლისა, და არა რისხვისა ჰირ-უთნებე-
ლისა ღუთისა, ვინაჲდგან სიტყვისაებრ სასარებისა, არცა ერთი იო-
ცა ანუ რქა ერთი არა წარჭხდეს სჯულისაგან რომელი არა აღ-
სრულდეს; მხოლოდ ჭეშმარიტსა გამოცხადებასა შინა დაცულარს
სიძარტლე შეუცვალებელი, რომლისა მოქმედი ვიდოდეს ცხოვრე-
ბად საუკუნოდ. —

დეკანოზი იოანე ბახხარელი.

შ ე ს ხ მ ა

ყოვლადსამღუდელო მინგრელიის ეპისკოპოსის
ტარასისადმი, თქმული მარტვილის საკათედრო სო-
ბოროში, 10-ს სექტემბერს 1865-სა წელსა. (*)

ყოვლადსამღუდელოესო მეუფეო,
უმოწყალებო მწყემსთმთავარო და მამაო!

გხედავთ რა ზიზკელად განშკენებულსა დიდითა მით მღუდელ-
მთავრობის ხარისხითა, რაჲ უნდა მოგიძვნათ თქუენ, თვინიერ
ამისა: გვიხარის ბედნიერებაჲ თქუენნი! სიხარული ესე მით უფრო
დიდ არს ჩუენ შოროს, რომელ სამსახური და ღვაწლი თქუენნი
მინგრელიასა შინა მარადის იუვენ ნაყოფიერნი და კეთილწყარმა-
ტუბითნი საზოგადოებისა და ეკლესიისათჳს. ამისთჳს ჩვენ მარად-
ყამს მოკვლადით ბედნიერებასა თქუენსა აღევანებითა მღუდელთ-
მთავრობის ხარისხსა ზედა, ვითარცა შესაფერსა თქუენისა ცხოვ-

(*) ყოვლადსამღუდელო ტარასი, გვაროვნებით ელიავა, სამენ-
გრელოს აზნაურთაგანი, შობ. 65 წლისა, აწმინდრიტობის ხა-
რისხით წინამძღუარი ცაგერის მონასტრისა, სცხოვრებდა მინგრე-
ლიაში მარტვილის სობოროზე; მღუდელთმთავრად სელდასხმულ-
არს 30-სა აგვისტოს 1865 წელსა.

რებისა და ღვაწლისა. დიდება და მადლობა ღმერთსა და ცხებულსა მისსა—ხელმწიფე იმპერატორსა აღმორჩევისათჳს ჩუწნდა ესრეთისა მწუქმსთამთავრისა, რომელმანცა მიცის ჩუწნ და რომელიცა კიცით ჩუწნ!

გარნა, მეუფეო, სასარულევანი შემთხვევა ესე უნებლიეთ მოგვაგონებს ჩუწნ იმა უბედურთა დროებათა და იმა მწუხარებათა გულისათა, რომელთა შინა შთავარდით ჩუწნ სძირად ცუტალებისაგამო მღუდელთამთავართასა, უდროეთ წარტაცებულთა სიკუდილისაგან. (*) თუძცა არა არს ხელთა შინა მომკუდავთასა განსაზღვრადღეთა ცხოვრებისა კაცთასა; გარნა ვეკედრებით ყოვლადმოწყალესა მეუფესა, რათა დღეგრძელ ჰყოს მან მეუფება თქუწნისა სახუგემოდ მინგრელიის ეპარხიისა, ნაცვლად ყოფილთა მწუხარებათა, მრავალგზის მისმიერ გამოცდილთა. ამასთანავე ჩუწნ განუგებობათათა თჳსთა მით, რომელ თქუწნ გექმნებათ ჩუწნ ყოველთა ზე-

(*) 1828-სა წელსა გარდაიცუტა ბესარიონ მიტროპოლიტი, რომელი იყო გვარისაგან დადიანისა, ბრძენი მღუდელთამთავარი; იგი ორმოც წელ მართვიდა სამენგრელოს ეპარხიასა. შემდგომ მისა არა ჰქონიესთ მინგრელიის ყოვლადსამღუდელთა გრძელყამიერნი დრონი ცხოვრებისანი. მაგალითებრ: ერთმან მათგანმან იცხორა ეპისკოპოსის საჩინსით მხოლოდ ნახევარი წელიწადი. ესე იყო ყოვლადსამღუდელო ეპისკოპოსი ზაქარია, გვარით დგებუაძე, სამენგრელოს თავადთაგანი, გარდაიცუტა 1854 წელსა. შემდგომად მისა დაჯდა ეპისკოპოსად ყოვლადსამღუდელო თეოფანე (გაბუნია), რომელიც გარდაიცუტა 1859 წელსა. შემდგომ ამისა იყო ეპისკოპოსად მინგრელიისა რადენიმე ხანს ყოვლადსამღუდელო გერონტი (ხაპიტოვი), აწ ვიკარი საქართველოდსა; ხოლო შემდგომად ამისა—ყოვლადსამღუდელო ბესარიონ (ჩიხუა), რომელმან მიიღო მღუდელთამთავრობა მინგრელიისა 1 იანვარს 1863 წელსა და გარდაიცუტა 15 დეკემბერს 1864 წელსა.

და მამობრივი მზრუნველობა, აღასებთ მადლითა თქუწნიითა ნაკლულევანებასა ჩუწნსა ყოვლითა საქმიითა კეთილითა, და იქმნებით მოძღუარნი მტკიცე და სარწმუნო, სიტყვისაჲმებრ ქრისტეს მაცხობრისა: “ესრეთ ბრწყინებულნი ნათელი თქუწნი წინაჲჲ კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქვენნი კეთილნი, (მატ. თავი 5, მუხ. 18)!

ესრეთითა გრძნობითა და სურვილითა მოგილცავთ თქუწნი სახლსა სარისსსა მღუდელთაჲმთავრობისსა და ესთხოვთ შემოქმედსა ყოველთასა, რათა მოგცეს მან სიმხნე და ძალი აღსრულებად დიდისა ამის მოვალეობისა და ჭგუფს მრავალყამიერ! ამინ.

დეკანოზი ლუკა გაწიკელია.

მოგზაურობა აფხაზეთის მინიონერისა.

ყოველდღსამღუდელთა აფხაზეთის ეპისკოპოსმან გერონტიმ მოძინდო მე მოწერილობითა თხზითა 17სა ოკტომბრითგან 1859 წლისა № 120-თა სიტყვისა ღმრთისა მიმოთქნა ეპარხიასა შინათვისსა. მოწილმან ამისამან, მე მეორე დღესჲე 18სა მდგომარისა მის თთჳსა გაველ სოხუმის ქალაქიდან უამსა 3სა შუადღიდგან, რომელსა თანა მეჴს ორნი აღჭურვილნი მსედარნი, წარმოუვანებულნი განკარგულებითა აფხაზეთის მთავრისათა სახუჭნებელად გზისა სრულს ჩემს მოგზაურობაში, მსახურებად დაკანებასა ზედა სოფლითი სოფლად, და დაცვად ავასაკთაგან ზედა-დაცემით გინა ქურდობით. დამდებმან ღმერთსა ზედა სასოებისამან, აღვირჩიე სკლას შავი-ზღვის პირით, რომელმანცა იწყო მომატებით ზვირთთა მხქუთვარეობა, და ეტყობოდა მსურველობა ჩუჭნთან მოგზაურობისა ჳ მით ვითომც გვიწინასწარმეტყუელებდა მომაკალსა ღვაწლსა ჩუჭნსა. სასიამოვნო იყო სახილველობა მდებარეობისა გარემოს ჩუჭნსა: მარცხენით ჩემსა ნიაკით რხევად პონტონისა, და მარჯუჭნით ჭალაკი, შემოსილი ადგილითი-ადგილად უვაკილოვნებითა მრავალთუვრადებითა, სხუა ჳ სხუა მცენარეთა და ხილთა. კლეთ უძეტეს შვიდის კერსტისა ესე-კითარსა გზასა ზედა, ღირსსა სსოვნისასა, სადაცა თანდათანა ხმოვანება ზღვისა ჳ კაცთა დაგვიმეუდროვდა, მიგონდოვ განგებასა ღმრთისასა და სახესა დაწესებულებისასა. მოვაწიეთ

მდინარისა ჰირსა გუმუხტას, სადაცა ვხახეთ ორნი რუხეთის მხედარნი სალდათნი, მხარზედ გარდადებით მექონნი თოფისა, ისინი წყლის ჰირსა ზედა და ნადირობდენ თევზთა. სასიამოვნოდ აღმიხნდა სილვა მათი და აგრეთჲს სიმახდით ნადირობა მათგან, თითქმის ვერ ახწრობდენ კაკისა გარდაგდებასა, რომ ისე აღმოჩნდათ დიდ დიდნი თევზნი. ვკითხე რა მიზეზისა თოფი, რომ მოუძოვებლად მხარზედ გძევსთქო, მიპასუხეს ვიძიებით, ვაჲ თუ ტყიდან ავასაკი მოულოდებლად დაგვესხას და ვერ მოვასწროთ თოფის აღება და თავისა თვისისა განჩინება შემთხვევადისა უსიამოვნებისაგან, და ამისთვის ვფრთხილობთო. მეცა მიმეჩქარებოდა რადგან ღამდებოდა და იმათაც ვურთხევს მოძინოვებს, მიუთინეთ მათ მშვიდობაჲ და განკუძოვნით ურთიერთსა, და ვლიდით ზღვის ჰირით. შემოგვესლახა მწუხრი, მითხრეს თანამხლეთა ჩუქნთა დაკვირვებს სტუმარნი გამოგვეგებენ სახლობანი რეგორც საზოგადოდ სტუმართ ჰატვი უწყიან აფხაზთა, და შეგვიყვანეს წინკარსა და იქ დაუყავით რაოდენიმე დრო; შემდგომ მოვიდა სახლის ჰატრონიცა და ჩუქნთა მომყოლთა უთხრეს ვინაოზა ჩემი: მამინ უფრორე გულსამოდგინებით ისურვებს სამსახური ჩუქნი, რომელთაცა ერთი სახლი დაგვიცალებს და მოგვიძინადეს. — დიდათ ეუცხოვართ ჩუქნი ნახვა, სამღუდელონი სოფელსა ამას შინა დიდის ხნიდან არა ყოფილან მკვარათაც, განკვირვება შეეღვათ გულსა მათსა და იკითხვიდენ თუ რისთვის მოვიდნენ. სრულიად სოფელსა ამას შინა იქმნებია მცხოვრებნი ორასი კომლი და ყოველნი არიან გლეხნი კაცნი, და მათ შორის არა იპოვება არცა ერთი სული ქრი-

სტიანი. მე შევანდა თან აცის პრინციდის ძღუდელი მიხაილ ანდრო-
სს მე სახეკია, რომელიცა უამსა გამოსვლისა ჩემისასა სოხუმიდამ
მოსრულ იყო იქ თანამდებობისაგამო თუხისა და უკუნ ქცეულ-
მან, ბრძანებითა უოვლადსამღუდელთა აფსაყეთის ეპისკოპოსის
გერონტიისათა, წამოკედით ერთად, რადგან ჩემთვის საჭირო იყო
თარჯიმანი. რომელსაც მონდომეს ცნობა თუ სად და რადასათუხ
მივდივართ, — მამინ უთხარით: ჩუწნ დაკვირვართ სოფლითი სოფ-
ლად, რათა ვაუწყოთ სასული ქრისტესი ჭ ჭემდარიტი სარწმუნო-
ება მისი ერთა, ვაჩვენოთ გზა მართლისა სარწმუნოებისა. — მოთ-
ხრობა ჩუწნი მათ მიიღეს თვინიერ წინაღმდეგობისა. ჭ დართეს
ესრეთ: უკეთუ უფალსა ჩუწნსა ესურვება ჩუწნი ქრისტეისანობა, არ
ვიქმნებით წინაღმდეგნი თქუწნის სურვილისა და ქადაგებისა. მამინ
ჩუწნ დაიმედებულთა განკავრცელეთ საუბარი იქამდნ, რომ, შესაძ-
ლოაარსათქმად, ღმობიერება შეეღვათ გულსა და სიყვარული კე-
თილსნეობისა. ამ სასიამოვნო საუბრის დროს უეცრად ავათშე-
იქმნა სახლის პატრონი გაცივების მჭკლებსაგან, ეგზომ, რომ
მიიყვანა იგი თუთ საშიშარს მდგომარეობაში. ითხოვესშეწევნა ჩუწნ-
გან, მამინ მე მიკედ და უთხარ: სასულითა იესო ქრისტესითა იმე-
დი მაქუწ განგკურნო, უკეთუ მას იწმუნებთქო, და მასთანვე შე-
უდგები ბუნებითსა საშუალობასა, მოკატანინე ღომის სუვილი, ტათა-
ზედ ღვინით მოვსალე და რაადგილსედაც მჭკლები ჭ ტკივილი
ქქონდა, იქ პარკებით დაკადებინე ორივე მხრით, რომლისაგანცა
გაუხურდა ტანი, მიეცა ძლიერი ოფლი, და შეიქმნა დილამდისინ
სრულიად კარგათ, ჭ დილით ჩემი დიდი მადრიელი და მლოცველი
დაუტევე. სოლო მე წარვემართე შემდგომ გზად. მებატონე ამა სო-
ფლისა იყო კასან მარტანია (პარუჩიკი ღვარდიისა) სარწმუნოებითა
მასმადიანი, მომორკებით შვიდს ვერსტზედ. გზაც იმასე გვქონდა,
და რადგან მთავრის ასულიცა იმათი გაზრდილია ჭ იქ იმყოფე-

ბოდა; ამისთვის მიკუდი და ვნახე, რომელიც დამიხვდა დიდის სი-
ამოვნების გრძნობით, და ქრისტიანობრივის მოწესობით, განსა-
კვირველად მიხნდა მისი თავიანობა, მიღება და ბახსი, არა თუ იმ
მცირე წლოვანის ემაწვილისაგან, არამედ საკმაო იყო ესე სრულს
წლოვანზედაცა; გვთხოვეს სადილათ ჭ დაუჩხით იქ; გვიმასპინძლეს
კეთილსაამოდ და მოწლედ წოდებისა, და მადლობელი წამოკუდით.
19-ს ოკტომბრის ჩიტხვსა ვლეთ ველნი და მთა გორიანი, ტყენი,
ადგილობრივ ვაზიანნი მამულნი ნახოულარნი, ჭაღაკნი და ხენნი
ხილავანნი. საამო იყო სასილკულად თვალთა შემოხილება მდიდა-
რისა ნაყოფიერებისა; გარნა სიამოვნება ესე შეზავებულარს მწუ-
ხარებითა ესოდენისა მამულისა ყრუდ და უკაცოდ დატეკებისათჳს.
მოკუდით ოსირცხის წყაროზედ, რომელიცა მუნვე ჩაერთვის ზღვა-
სა. აქა არს კოშკი და ციხე დიდშენი, შემოხილი გარემო სუროს
ოფთლითა, და ზემოთ ამისა არს ერთს ვერსტს ნახევარზედ ვა-
კესა ადგილსა ზედა ანაკოფიის ეკლესიას თლილის ქვისა გუმბათი-
ანი, რომელიცა გარემო შეტულარს მყარის კლდითა აღმოსავლე-
თით და დასავლეთით, ჩრდილოეთით არს სევი საშიში, და გამო-
დის წყარო ოსირცხისა და დასავლეთით ჩამოუვლის, და მუნ შე-
ნობანი ყოველნი დარღვეულარნი, რომელსა ზედა მტენარე-
ბენ დიდროსნი ხენნი. ესე ეკლესიას არს ძველი ნიკოფიისა ბერძენთა,
რომლისათჳსაცა სწამებს თვისსა ანდერძში მეთვე დავით აღმაშენე-
ბელი. აქა სათელავებისა მოციქული სიმონ კანანელი, ერთი სამე-
ოცდა ათთაგანი. აქა იხილვება, რომელ დროსა ევდემონ კათალი-
კოსისასა, 1320-ს წელსა, ყოფილა ეკლესიას ესე განბრწყინებულნი და
განათლებულნი, საიდაამც სიტყვითა ღმერთისათა სტკებობდნენ ერნი;
ამა ჰონტონისა პირზედ ჭსცხოვრებდნენ ვაჭარნი საბერძნეთისა კო-
ლონიისანი, სადაცა აწ არს სრულად აღსრებულნი, დარღუჭული ჭ
ვერანად გარდაქცეული; აქა ნაცნულად დიწხთა პირთა საყოფელისა

იყოფებიან მხეცნი მძვინვარენი და ფრინველნი. — ამ ეკკლესიას ზედ
ოწმს ვერსტზედ მოშორებით, მოძალლო მთაზედ, არს ერთი ერთ-
მანეთზედ დაშორებულად ნახევარი ვერსტით სამი დიდრონი კომ-
პანი, დიდშენნი, და აწ იგინიცა უქმარნი. ესე ყოველი ვინილურა
კაცთა სელისაგან ნაშრომნი და დიდის საფასის წარგებით აღშენე-
ბულნი დაუქმებულად, შემედვა არა მცირედი ფიქრი და მწუსარება,
და ცხოვლად წარმოდგინებმან მათმან დაღონებით შეუდგო კვა-
ლადვე გზასა. მოკედით ზღვის ჰირად დაბასა გუდაუთას, სადაცა
ვაჭრობენ ქრისტიანენი მეგრელის მცხოვრებნი, და ტრაპიზონის
მცხოვრებნი თათარნი. რიცხვი სულთა თათართა ერთ ნახევრადმდე
აღემატება ქრისტიანეთა. თათართათჳს აღშენებისა ჯაჭამა სალოცვე-
ლი ღენერალმა იოანეს აზნაურს კაცია მარტანის მახმადიანს; ხოლო
ქრისტიანეთა არა აქნესთ სალოცველი; და არცა ღონისძი-
ება აღაშენონ ეკკლესია; იყო მიმწუსრი, დუქნები დაეხმოთ და ქრი-
სტიანენი ვერ ვნახე და წაკედი მთავრის სასახლეში სოუკს, რომელი
შორავს მას სუთ ვერსტზედ: თანა მაქნდა მთავრისაგან მი-
წერილი თავის მოურავებთან ესრეთ: “მოდის ჩემი ნათესავი და პა-
ტივსადებელი პირი მისიონერი აფსაზეთისა იეროდონასი გრიგორ
ბერი დადიანი და უბრძანებ ორთა ჩემთა აზნაურთა სახელდობრ,
ეასლონ განუმორებლად, სოფლითი სოფლად, აჩვენონ შემწეობა მო-
ქცევითა თათართა და წარმართთა ჭემარით საწმუნოებაზედ;
და აგრეთვე სასახლეში სანამ ინებოს დაკანება, ემსახურეთ და თჳთ
თქუწნცა ემორჩილენით ყოველსა მისსა მოთხოვნილებასა ზედა,.. —
სასახლეში არ იუვენ მოურავებნი, ჭირნახულის მოხაგრებლად, და
აგრეთვე სხვა სამთავრო სოფლის გარემოების მიხედვით სოფლი-
თი სოფლად განხეულ იუვენ. უმყოფელობა მათი ჩუწნ არად და-
გვიჩენია; სახლის მცველთა და სელოხანთა მიგვიღეს მთავრის სახლ-
ში, მოგვასვენეს და გვიმასხინძლეს ფრად კეთილად, სადაცა და-

დალულთა დაკისკენით; სახლის მცურელმან სასკლდობრ ძაყიტა ბი-
გვამ დილთვე ჭქმნა მოძიება მოურავთა, სადაცა მისვე განცხად-
დნენ; მიწერილობა მთავრისაგან მივეტი, რომელიც კრძალვით მი-
იღო მან და გულს-მოდგინებით განმიცხადა სურვილი აღსრულები-
სათჳს; მთხრავა დრო მეორეს დილაძდის, ესე იგი 20-ს ოკდომბ-
რამდე, რათა ვაუწყო მათ მთავრისაგან დანიშნულთა პირთა, აზნა-
ურს სოხრან შარვანის ძეს ფილიას და აზნაურს ივანე ხარხოუს ძეს
ღუბუღიას, რომ დილით მოვიდნენ, და სხვებრ რასაც გვიბრძანებს
ვეცდებით აღვასრულოთ. მთავრის განკარგულება და ბრძანება ჩუქნ-
გან მარადის აღსრულება დაუზარებელად; და უმეტესად ეს ისრე-
თი მნებებელობაა, ამას გულს-მოდგინებით აღვასრულებთ, ჭქმნარი-
ტად გვისარის ეს დანიშნულება და სთქვა: განირყვნა სოფელი ყო-
ველი ცრუ სარწმუნებისაგან, აწ იმედია აღისრულება. — დამიკრა თა-
ვი და წარვიდა: დაკრხი სასახლეში 20-ს რიცხვსა, მივეც სასახლი-
დან ცნობა გარემო მასლობლებს სოფლებს, რომ შეკრებულ-იყვნენ
სასახლეში, 21-ს რიცხვსა. ხოლო მე მომლოდნემან დანიშნულთა
პირებთა დავსთმე ეს დღე და საჭირო იყო მათი მყოფობა ჩემ-
თჳს საჩვენებელად გზისა. მაშინ მითხრა ლიხინის პრისოდის მღუ-
დელმა იოანე ზაქარიას ძე გეგამი, გუდაუთას მოვაჭრენი ქრისტი-
ანენი ვერ არიან მტკიცედ სარწმუნოებასა ზედა, ეთარვიან ქრისტი-
ანებრივს დაწესებას; აღსარებასა, ზიარებასა და წირვა-ლოცვასა, და
კარგი იქმნებადოაგონოთ მათი წოდება და ქრისტიანობაო. და მე
რადგანაც მრთელი დღე უნდა ვყოფილ-ვიყავ მუნ უსაქმოდ, დაუზა-
რებელად შევაკმაზვინე ცხენები და წარვემართეთ. მაშინ თანა-
ძეკენი და სხვანიცა მთავრის მოხელენი, ჩაკედით გუდაუთას
ეს ოკდომბრის რიცხვსა, შეკვრიბეთ სრულიად მუნ მოვაჭრენი
ქრისტიანენი საშუალ-მოედანისა, პირველად გამხილეთ მათ შეცთო-
ბილება და სიმძიმე ესე-კითხვისა გარეწრობისა, და შემდგომ ვა-

სწავეთ თუ რითი იქმნებიან ბედნიერი და მასთან უხუცესეთ ღონისძიებაცა, მახუცსებელი ჭეშმარიტისა გზისა, რომელთაცა ითხოვებს განუმორებლად სამნი ესე: სარწმუნოება, სხსოება და სიყვარული: ესენი განუმარტე, ვასწავე, და მასუხი მივიღე ყოვლისა ჩემძიერ მათდამი ჭსწავლისათჳს ესრეთი: „შევინანებთ და შეუდგებით აღსრულებასა მცნებისა ღმრთისასა, მივიღებთ მღუდელსა ვითარცა მოწესესა და დარბიებისაძებრ მისისა ვყოფთ და შეძგომი,,. დროსა მათდამი ჭსწავლისასა შეკრბა სიმრავლე ერთა თათართა ესრეთ, რომელ არღა იყო აღგილი დასატკუნელი და იკითხვიდენ ვინაობასა ჩუცნსა და სუროდათ მახლობლად ჩუცნსა მყოფობაჲ და ჭსტდილობდენ შეტეობასა თუ რასა ვიტყვით; მაშინ ერთსა მათგანსა თათართაცანსა ესწავა მეგრული თავის მენგრელიად მყოფობაში და მისის ზირითა გარდავეც სიტყვა სხვათაცა ესრეთ:

ყოვლად უმეწესა ეს მან, დიდ მან კელმწიფემან რუსეთის მან, ძლიერითა ძკლავითა თვისითა და შეწევნითა უფლისა ჩუცნისა იესო ქრისტესითა, შემუხრა წინააღმდეგი მტერი, შეიზურა შამილ თვით თავისა თვისისა უფლად მწოდებელი, რომელსაცა თქვენ რაცხდით ზეგარდამო განგებისგან მოკლენილად და შეუძურველად, რომელიცა ჭქადაგებდა კაკასიის ერთა შორის, რომელ ნებავს ღმერთსა, რათა კაცადკაცადმან შესწიროს თავი თვისი განსამტკიცებელად ჭხუელსა მასმადისასა. და ესეუითარის შეგონებით მოაცთუნებდა ხალხთა, რომელიცა უკანასკნელ თვით, წინააღმდეგ თვისისა ჭსწავლისა, დაემხო ფერხთა ქუცსუე წინაშე კაკასიის ნამესტნიკისათა და ითხოვა შეწყალებაჲ, და არს იგი თჳთ შემწევდუელ ერთსა უშინაგანესსა ღუბერნიასა შინა სხსელით კალუღში, შესახამის სარდელითა: დღეს განისვენა კაკასიამან, დღეს გრძელყამიერსა ტანჯვაში მყოფნი გამოიხსნა ხელისგან ბარბაროზთასა ძლიერმან რუსეთმან, მთანი შეუკალნი და ველნი მსეტოაცან

საკნენი დღეს აღივსების ძალითა და საჭურველითა რუსეთისათა,
და ზარი მათი ლომებრ შემუსრავს ყოველთა წინააღმდეგობათა თუხ-
თა. დღეს მოეფინა მშვიდობა მრთელსა კაკასიასა, და აღიხრცა ყა-
მი აძარებისა, დღეს წმიდა კანონი და განკარგულება კაკასიის ნა-
მესტნიკისა უფლებს კაკასიასა კასპიის ზღვიდან ვიდრე შავს ზღვა-
დმდე, აწ ყოველნი შეუდგებიან მაგალითსა და წმიდასა ნებასა
მისსა. ღმერთსა ნებავს, რათა დახადებულნი მისნი იყვნენ მშვიდო-
ბასა შინა, და იცნან ჭეშმარიტი სარწმუნოება და ერთი ნათლის-
ლება, და ჩუწნსა კელმწიფესაცა ჭსწადის ესრეთ და ზრუნავს იმპერი-
